186/2
1932

34(05)
ბ-29

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. იანვრის 27. № 1 ნაწილი პირველი

186/2
1932

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

1. საქართველოს სსრ-ში 45 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

2. საქართველოს სსრ-ში 1932 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

3. ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 7^1 და 7^2 მუხლების დამატების შესახებ.

5. კოლექტიური მეურნეობებისათვის წყალსამეურნეო სისტემების გადაცემის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

6. კოლექტიურ მეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების შედეგების მასიური შემოწმების ჩატარების შესახებ.

ტრანსპორტი

7. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვისა და სანომრო ნიშნების გაცემის წესის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

8. კერძო მფლობელობის სახლებისა და კერძო პირების მიერ იჯარით აღებული მუნიციპალიზებული სახლების მიმართ 1932 წ. იანვრის 15-მდე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების მოქმედების განგრძობისათვის, რომელი დადგენილებაც ეხება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათ.

შ რ ო მ ა

9. 1932 წლისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუშა-ძალის საჭიროების გეგმისა და მუშა-ძალის ბალანსების შედგენის ვადების შეცვლის შესახებ.

10. 1931-32 წლის ზამთრის გადაზიდვების პერიოდში რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

1. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ-ში 45 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს 1932 წლის 1-ლ იანვრიდან საქართველოს სსრ-ში შემდეგი 45 სასოფლო საბჭო:

ლაგოდეხის რაიონში

1. ფონის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ ფონაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ფონა, ეშმაკის-ყურე, ზემო-ხეჩილი, ქვემო-ხეჩილი (ბაისუბნის სასოფლო საბჭოდან), ლაფნიანი და გუჯარეთი (აფენის სასოფლო საბჭოდან).

თელავის რაიონში

2. ყალაჯალის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ყარაჯალაში, რომელშიაც შევა სოფელი ყარაჯალა.

თიანეთის რაიონში

3. ღულელების სასოფლო საბჭო, ცენტრით, სოფ. ღულელებში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ღულელები, დამწვარ-სოფელი, ბალების-ხევი, კვერნაული (ზემო ერწოს სასოფლო საბჭოდან), თრანი, თოხოლჩა, ხადოელები, წყაროთ-უბანი, ტოლათ-სოფელი, გუდანელები და სიონთ-გორი (ქვემო-ერწოს სასოფლო საბჭოდან).

გარე-კახეთის რაიონში

4. მუღანლოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. მუღანლოში, რომელშიაც შევა სოფ. მუღანლო (სართი-ჭალის სასოფლო საბჭოდან).

5. გიორგი-წმინდის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. გიორგი-წმინდაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: გიორგი-წმინდა, ანთოკი და მარიამჯვარი (საგარეჯოს სასოფლო საბჭოდან).

გურჯაანის რაიონში

6. ჩალაუბნის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ჩალაუბანში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ჩალაუბანი (ბაკურციხის სასოფლო საბჭოდან) და მელაანი (არაშენდის სასოფლო საბჭოდან).

7. ურიათ-უბნის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ურიათ-უბანში, რომელშიაც შევა სოფელი ურიათ-უბანი (შაშიანის სასოფლო საბჭოდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალკის რაიონში

8. ბაშქოის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ბაშქოიში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ბაშქოი, ყარაქომი, ლივადი (არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭოდან) და იმერა (ბეშთაშენის სასოფლო საბჭოდან).

9. ქობურის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ქობურში, რომელშიაც შევლენ სასოფლო საბჭოები: ქობური, ხაჩქოი, ჩივთ-ქილისა და თამალა-ხარაბა (აშყალის სასოფლო საბჭოდან).

ტოლოშის რაიონში

10. ნაქალაქევის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ნაქალაქევში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ჯოლდა, თმოგვი ქურთების (ტოლოშის სასოფლო საბჭოდან), ანაკეთი, ბერთაყანა, მარგისტანი და ნაქალაქევი (ხერთვისის სასოფლო საბჭოდან).

გამოიყოს ახალქალაქის რაიონიდან და შეუერთდეს ახლად დაარსებულ ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს სოფ. დანგალი.

ადბულახ-მანგლისის რაიონში

11. კლდეისის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. დიდ-კლდეისში, რომელშიაც შევლენ სოფლები: დიდი კლდეისი და პატარა კლდეისი (ირაგის სასოფლო საბჭოდან).

12. დაღეთ-ხაჩინის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. დაღეთ-ხაჩინში, რომელშიაც შევლენ სოფლები: დაღეთ-ხაჩინი, პატარა დაღეთი და სამშვილდე (ალბულახის სასოფლო საბჭოდან).

ადიგენის რაიონში

13. არალის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. არალში, რომელშიაც შევლენ სოფლები: არალი, მარელი, ორჭოშანი, წარბასთუმანი და ხონა (უდეს სასოფლო საბჭოდან).

ბაშკიჩეთის რაიონში

14. ყამარლოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ყამარლოში, რომელშიაც შევლენ სოფლები: არმუთლო, გედაქ დაღი, გეიბულახი, ბუსუ-ყალა. დაღარუხლო, მამიშლიარი, სოგუთლო, ყამარლო და შახმარლო (ყარაბულახის სასოფლო საბჭოდან .

ბორჩალოს რაიონში

15. სიონის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. სიონში, რომელშიაც შევლენ სოფლები: სიონი, ქვემო წერაქვი, ზემო წერაქვი და გორული (ოფრეთის სასოფლო საბჭოდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორაგოულის რაიონში

16. ვარძიის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ვარძიაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ვარძია, ხონი, წყალფორეთი და ჩალხაეთი (კიცხის სასოფლო საბჭოდან).

17. ხევის-ჯვარის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ხევის-ჯვარში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ხევის-ჯვარი, ნადაბური, გრიგალათი, წაქვა და ციცქიური (ხუნევის სასოფლო საბჭოდან).

გამოიყოს ჭიათურის რაიონის ლიჩის სასოფლო საბჭოდან სოფ. გოლისა და შეუერთდეს ახლად დაარსებულ ხევის-ჯვარის სასოფლო საბჭოს.

18. ზვარეს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ზვარეში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ზვარე, ჩრდილი, პატარა ხორაგოული, ღოლათ-უბანი და ნუნისი (მოლითის სასოფლო საბჭოდან).

ჭიათურის რაიონში

19. ვაჭევის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ვაჭევში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ვაჭევი, ჯორხეეთი, ღვითორი (კაცხის სასოფლო საბჭოდან) და მელუშეთი (ხრეითის სასოფლო საბჭოდან).

20. ჭალოვანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ზედაჭალოვანში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ვაკევისა, ვანი, ხვაშითი და ზედა ჭალოვანი (წირქვალის სასოფლო საბჭოდან).

21. პერევის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ჯვრიაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: პერევი, ჯვრია და სოფ. დარყას ნაწილი (ჭალის სასოფლო საბჭოდან).

22. სვერის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. სვერში, რომელშიაც შევლენ სოფლები: სვერი, თვალუეთი (ჩხიროულის სასოფლო საბჭოდან), ცხრუკვეთი და ცეცქი (მერევის სასოფლო საბჭოდან).

23. ჯალაურთის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ჯალაურთაში, რომელშიაც შევა სოფლები: ჯალაურთა, მოძვი და წასრი (კორბოულის სასოფლო საბჭოდან).

24. ოთხვისის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ოთხვისში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ოთხვისი, ბჟინევი და ბეგიური (ქორეთის სასოფლო საბჭოდან).

25. ცხამის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ცხამში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ცხამი, დურევი, ეთო (არგვეთის სასოფლო საბჭოდან) და ეხვევი (ჭალის სასოფლო საბჭოდან).

სოფელი საკოხია გამოეყოს ჭალის სასოფლო საბჭოს და შეუერთდეს არგვეთის სასოფლო საბჭოს.

სოფ. სისვაძეების ნაწილი გამოეყოს კორბოულის სასოფლო საბჭოს და შეუერთდეს ჩონთოს სასოფლო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის რაიონში

26. ფუთის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ფუთში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ფუთი, ზედა-ილემი და ქვედა-ილემი (შორაპნის სასოფლო საბჭოდან).

27. კვალითის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. კვალითში, რომელშიაც შევა სოფ. კვალითი (კლდიეთის სასოფლო საბჭოდან).

ჩხარის რაიონში

28. გოგნის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. გოგნში, რომელშიაც შევა სოფ. გოგნი (ჩხარის სასოფლო საბჭოდან).

29. სიქთარვის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. სიქთარვაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: სიქთარვა და ჩხარი-ეწერი (თერჯოლის სასოფლო საბჭოდან).

ონის რაიონში

30. გომის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოც. გომში, რომელშიაც შევლენ სოფლები: გომი, ტბათანა, კვაჟა და ინწვისი (ნაკიეთის სასოფლო საბჭოდან).

ცაგერის რაიონში

31. ლუხვანოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ლუხვანოში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ლუხვანო, ზარაგულა (ცაგერის სასოფლო საბჭოდან) და ბარდნალა (წიფერჩის სასოფლო საბჭოდან).

ქუთაისის საქალაქო საბჭოს რაიონში

32. გუმბრის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. გუმბრში, რომელშიაც შევლენ სოფლები: გუმბრი, თერნალი (წყალტუბოს სასოფლო საბჭოდან) და ბანოჯა (ქვიტირის სასოფლო საბჭოდან).

ხონის რაიონში

33. ივანდიდის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ივანდიდში, რომელშიაც შევლენ: სოფ. ივანდიდი, ქ. ხონის სამხრეთი ნაწილის სასოფლო მოსახლეობა და სოფ. კუხის ნაწილი.

ნახახულევის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფ. ნახახულევიდან გადატანილ იქნეს სამხრეთით ორი კილომეტრის მანძილზე და დაარსებულ იქნეს ხონი-მათხოჯის გზაზედ სოფ. კონტუათსა და წითელ-ვარსკვლავს შორის.

ნახახულევის სასოფლო საბჭოს გაუერთიანდეს ქ. ხონის ჩრდილოეთი ნაწილის სასოფლო მოსახლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის რაიონში

34. ბზვანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ბზვანში, რომელშიაც შევა სოფ. ბზვანი (ამაღლების სასოფლო საბჭოდან).

35. ტობანიერის სასოფლო საბჭო, ცენტრით საშუალო ადგილას, რომელშიაც შევლენ სოფლები: მიქელფონი, კუშუბოური, ტობანიერი გაღმა, ტობანიერი გამოღმა, ზედა-მუხქედი, ზედა ეწერ-ტობანიერი და ქვედა-ეწერ-ტობანიერი.

36. დიხაშხოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. დიხაშხოში, რომელშიაც შევლენ სოფლები: დიხაშხო, ისრითი და ციხის-უბანი (ვანის სასოფლო საბჭოდან).

სამტრედიის რაიონში

37. ტოლების სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ქვედა ნოლაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ტოლები, ბუღნარა, ქვედა ნოლა და ვაზისუბანი (საჯავახოს სასოფლო საბჭოდან.)

სენაკის რაიონში

38. შხეფის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. შხეფში, რომელშიაც შევლენ სოფლები: შხეფი, ნატოჩაო, საკალანდარიშვილო და საქაჩიბაიო (თეკლათის სასოფლო საბჭოდან).

ხობის რაიონში

39. კვათანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. კვათანაში, რომელშიაც შევლენ სოფლები: კვათანა და ნოლა-ხაში (ახალ-აბაშის სასოფლო საბჭოდან).

ხობის რაიონში

40. ჭითა-სოფლის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. დღვაბში, რომელშიაც შევლენ სოფლები: თორსა და დღვაბა (ხეთის სასოფლო საბჭოდან).

ჩხოროწყუს რაიონში

41. ლეწურწუმეს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ლეწურწუმეში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ლეწურწუმე, ნაგვაზუ და ჯუმითი (ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოდან).

წალენჯიხის რაიონში

42. ხუდონის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ხუდონში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ხუდონი და წყავაში (ჯვარის სასოფლო საბჭოდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტვილის რაიონში

43. ინჩხურის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ინჩხურში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ინჩხური, საელიავო, კვაიდი და ნალეპსოუ (მარტვილის სასოფლო საბჭოდან).

44. გელათის სასოფლო საბჭო, ცენტრით სადგურ გელათში, რომელშიაც შევლენ სოფლები: გელათი და მოწამეთი (კურსების სასოფლო საბჭოდან).

გამოიყოს ქუთაისის საქალაქო საბჭოში შემავალი რიონის სასოფლო საბჭოდან სოფლები: სორმონი, ჭოლები და ნოღა და შეერთებულ იქნეს გელათის სასოფლო საბჭოსთან.

ამბროლაურის რაიონში

45. ხიდიკარის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ხიდიკარში, რომელშიაც შევლენ სოფლები: ხიმში და კვაცხეთი.

II. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს მომავალი 1933 წლის ბიუჯეტში ამა დადგენილებაში აღნიშნული 45 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსებით გამოწვეული საჭირო ხარჯები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. დეკემბრის 21.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 299 №-ში 1931 წ. დეკემბრის 30.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

2. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1932 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანიზაციებს გენერალურ ხელშეკრულებათა დადება 1932 წლისათვის დაამთავრონ არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 10-ისა, ხოლო ლოკალურ ხელშეკრულებათა დადება მათ საფუძველზე და უშუალო ხელშეკრულებათა დადება არა უგვიანეს 1932 წლის იანვრის 20-ისა.

2. დაევალოს სამეურნეო ორგანიზაციებს გაითვალისწინონ ხელშეკრულებებში ყველა საჭირო პირობა, კერძოდ, საქონლისა და პროდუქტების რაოდენობა, ასორტიმენტი და ხარისხი, მიწოდების ზუსტი ვადები, ფასები და ანგარიშგასწორების წესი, ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგები (საურავი, პირგასუტეხლობის ჯარიმა, ზარალის ანაზღაურება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ლოკალურ ხელშეკრულებათა დადების ზუსტი ვადები და აგრეთვე საურავი და პირგაუტეხელობის ჯარიმა ლოკალურ ხელშეკრულებათა დაუდებლობისათვის ან მათი არა თავის დროზე დადებისათვის. საურავსა და პირგაუტეხელობის ჯარიმას გადაიხდის ის ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ლოკალური ხელშეკრულების დადგენილ ვადაზე დაუდებლობისათვის.

3. კატეგორიულად აიკრძალოს ხელშეკრულებათა ერომხრივი მოშლა და და შეცვლა (გენერალური, ლოკალური და უშუალო ხელშეკრულებანი).

ცალკეულ უწყებათა განკარგულებით ხელშეკრულების მოშლა და შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ხელშეკრულება დადებულია ისეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელნიც უშუალოდ ამ უწყებებს ექვემდებარებიან.

უკეთუ ხელშეკრულება დადებულია სხვადასხვა უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის და უკეთუ ერთ-ერთი მხარე ძაინც რესპუბლიკანური ან ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოა ან ორგანიზაცია, ხელშეკრულების მოშლა და შეცვლა, როდესაც მხარეთა შორის შეთანხმება არ არის, შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

4. იმ ხელშეკრულებათა მოშლისა და შეცვლის წესს, რაც დადებულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, განსაზღვრავენ აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, კუთვნილებისამებრ, ამა დადგენილების, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის დეკემბრის 17-ის დადგენილებისა (სსრ კავშირის და რსფსრ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია“ 1931 წ. დეკემბრის 18-ისა) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 25-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. დეკემბრის 21-ისა).

5. ხელშეკრულების ყოველგვარ ცვლილებას ის მხარე, რომელმაც გაიგო, რომ ამ საგანზე არსებობს მთავრობის თუ უწყების დადგენილება (მე-3 და ე-4 მუხლები), აცნობებს მეორე მხარეს აღნიშნული დადგენილების მიღებისათანავე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-9 №-ში 1932 წ. იანვრის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

3. დადგენილება ს.კ.ს.

ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1931 წ. დეკემბრის 23.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებობს საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი, შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, მისი სამი მოადგილე და ჩვიდმეტი წევრი, მათ შორის, ორი სამეცნიერო დარგის მომუშავე, რომელნიც დაინიშნებიან პერსონალურად, და შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი: ა) სსრკ-ის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან; ბ) სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან; გ) სსრკ-ის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან; დ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა; ე) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი; ვ) საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა; ზ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა; თ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა; ი) საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსი; კ) საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ცენტრისა; ლ) სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამმართველოსი; მ) მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტისა; ნ) „საქართველოს აბრეშუმის“ ტრესტისა; ო) სრულიად საკავშირო შენაერთის „საქართველოს ჩაი“-სა; პ) ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტისა.

კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა/კსფსრ ჰიდრო-მეტოროლოგიური კომიტეტის წარდგენით.

2. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი აერთიანებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა მეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ და გეომაგნიტურ სამსახურს და, სოფლის მეურ-

ნეობისათვის საჭირო სამუშაოების შესრულებასთან ერთად, უზრუნველჰყოფს აგრეთვე თავდაცვისა, საზღვაო მოძრაობისა, ავიაციისა, ტრანსპორტისა, მრეწველობისა, მშენებლობისა და სხვა საჭირო სამუშაოებს.

3. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს:

ა) საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს-ობსერვატორიას;

ბ) საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ და გეოფიზიკურ დაწესებულებებს;

გ) მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ ყველა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ დაწესებულებას სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების დირექტივების მიხედვით.

4. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მისცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ყველა დაწესებულებას, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს, სამმართველოს, სადგურს დ საგუშაგოს საჭირო დირექტივები, ინსტრუქციები და მინიშნებები სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების დირექტივებისა, ინსტრუქციებისა და მინიშნებების განსავითარებლად და სრულ შესაბამისად; დაამყაროს საქართველოს სსრ-ში ყველა მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებისათვის მუშაობის სავალდებულო მეთოდები;

ბ) შეამოწმოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებების მიერ როგორც საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტისა, ისე სსრკ-ის და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების დირექტივებისა, დავალებებისა, ინსტრუქციებისა, მინიშნებებისა და სხვა მისთ. აღსრულება;

გ) შეიტანოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად მოხსენებები, პროექტები და სახარჯთაღრიცხვო განზრახულებები, რაც მიმართულ იქნება ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურისა და კვლევის სათანადო განვითარებისათვის ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისა და დაცვის ყველა დარგში რაც შეიძლება მეტი მომსახურეობის გასაწევად;

დ) შეიტანოს საჭირო შემთხვევაში, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგინება ამა დებულების მე-5 მუხლისა და სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების მე-5 მუხლის (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 28 №-ი, მუხ. 222) თანახმად, საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ორგანოებისადმი მიმართული სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეორო-ლოგიური კომიტეტების განკარგულებათა აღსრულების შეჩერების შესახებ;

ე) მოითხოვოს განსახილველად და შესათანხმებლად სამუშაოთა გეგმებ და პროგრამები იმ ჰიდრო-მეტეოროლოგიური აპარატებისა, სამეცნიერო-ს კვლევო დაწესებულებებისა, სადგურებისა და საგუშაგოების ქსელისა, რომელნი მომსახურეობას უწევენ უწყებათა და დაწესებულებათა და მათ გამგებლობა მყოფ საწარმოთა ვიწრო-სპეციალურ საჭიროებას; გამოიტანოს დასკვნები ვი რო-სპეციალური ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სამუშაოების გეგმები და პროგრამებისა და ამ სამუშაოების ხირჯთაღრიცხვების შესახებ;

ვ) დაამტკიცოს ქვემდებარე მეტეოროლოგიური დაწესებულებებისა (ორგანიზაციების გეგმები და ანგარიშები;

ზ) აწარმოოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მიწათმოქმედებ ცენტრალურ ორგანოებთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტ ბისა და საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ქვემდებარ დაწესებულებების რევიზია და ინსპექცია; აგრეთვე გაუწიოს ინსპექტირება (აპარატებსა და ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებებს, რომელნიც შედი უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა შედგენილობაში მათი ვიწრო-სპ ციალურ საჭიროებისათვის მომსახურეობის გასაწევად, მათ შორის საქართვ ლოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე სრულიად საკავშირო და ფედერატიულ მნიშვნელობის დაწესებულებებსაც—სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეორ ლოგიურ კომიტეტებთან შეთანხმებით—კუთვნილებისამებრ;

თ) შეიტანოს ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტში განსახილ ველად თავისი კომპეტენციის საკითხების გამო პროექტები და მოხსენებებ რაც საჭიროებს შეთანხმებას ფედერატიული მასშტაბით, და აგრეთვე უშუალ ურთიერთი მიმართვა იქონიოს მასთან ყველა საკითხის გამო;

ი) მოიწვიოს არსებული წესისამებრ ყრილობები, თათბირები, კონფერე ციები და აგრეთვე მოაწყოს მუდმივი და დროებითი კომისიები საქართველო სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის მოქმედების შესახები საკითხებ გამო;

კ) მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სპეციალური ექსპედ ციები.

5. სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტების გა კარგულებანი, რაც მიმართულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი მეტეორ ლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებებისადმი, შეიძლება შეჩერებუ იქნეს ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ დადგენილებით, რაც უნდა ეცნობოს სსრკ-ისა თუ ა/კსფსრ-ის მიწათმოქმედ ბის სახალხო კომისარიატს, კუთვნილებისამებრ.

6. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის უშუალო გა გებლობაშია საქართველოს სამეცნიერო-საკვლევო ჰიდრო-მეტეოროლოგიურ ინსტიტუტი-ობსერვატორია, რომელიც სამუშაო აპარატია როგორც სამეცნიე

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ო-საკვლევო მუშაობის სფეროში, ისე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა
ა თავდაცვისათვის პრაქტიკული მომსახურეობის გაწევის სფეროში—ჰიდრო-
ტეოროლოგიის მიმართებით.

7. საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბ-
იკებისა და ოლქის მიწათმოქმედების ცენტრალურ ორგანოებთან მოეწყობიან
დრო-მეტეოროლოგიური კომიტეტები ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერი-
ორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის უშუალო გამგებლობისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კო-
ტეტების შედგენილობას და ფუნქციებს განსაზღვრავენ ამ რესპუბლიკებისა
ა ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ამა დებულების საფუ-
ელზე.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჰიდრო-მეტეოროლოგიური
ომიტეტების პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებენ ამ რესპუბლიკების
ა ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ
დრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წარდგენით.

8. ჰიდრო-მეტეოროლიგიური კომიტეტების მოწყობის კვალობაზე, მათი
ითხოვნით, ცალკეულ უწყებათა, დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთა
მგებლობაში მყოფი მეტეოროლოგიური, ჰიდრო-მეტეოროლოგიური და ჰიდ-
ოლოგიური საადმინისტრაციო ორგანოები დაშლილ უნდა იქნენ და მათი
დგურები და საგუშაგოები, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არ-
ბული ყველა მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, და სამეცნიერო-საკვლევო და-
ესებულება და სამსახური, მის შედგენილობაში შემავალი და მასთან მყოფი
ომაგნიტური დაწესებულებებით და მთელი გაწყობილობით, ქონებით და
ედიტებით, უნდა გადაეცეს სათანადო ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს.

9. საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი ავტონომი-
ური რესპუბლიკებისა და ოლქის ყველა ცენტრალური და ადგილობრივ დაწე-
ებულებას ეკრძალება მოაწყოს საერთო-მეტეოროლოგიური და საერთო ჰიდრო-
ოგიური სადგური, საგუშაგო და სხვა ამისთანა რამ, რაც ზემოაღნიშნული
ომიტეტების გამგებლობაში არ არის.

უკეთუ შეუძლებელია მომსახურეობა გაეწიოს ამა თუ იმ დაწესებულებას
უწყებას ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის აღსრულების წე-
ით, სათანადო უწყებას, სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს შეიძლება
ვლება მიეცეს იქონიოს:

ა) სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და
დგური სათანადო უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს მოქმედების ობი-
ტებზე ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენის შესა-
ავლად;

ბ) სადგური და საგუშაგო—უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს
წრო-სპეციალურ საჭიროებისათვის მომსახურეობის გასაწევად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აპარატი—უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს საჭიროებისათვის ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაობისშედეგის გამოსაყენებლად, აგრეთვე ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

დ) სასწავლო ხასიათის სადგური.

აღნიშნული დაწესებულებებისა, აპარატებისა, სადგურებისა და საგუშაგოების შენარჩუნება ან დაარსება შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით.

10. ყველა ის დაწესებულება, რომელიც-კი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სპეციალურ ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ დაკვირვებას აწარმოებს, მოვალეა მისცეს ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსამსახურის ორგანოებს, მათი მოთხოვნისამებრ, სპეციალური დაკვირვებისა და გამოკვლევის შედეგი ერთიანი სამსახურის საჭიროებისათვის.

11. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს უფლება აქვს თავისი სამეცნიერო საჭიროებისა და მისი ქვემდებარე დაწესებულებებისათვის მიიღოს, არსებული წესისამებრ, ბაჟის გადაუხდელად, საზღვარგარეთიდან მეტეოროლოგიური სადგურებისა და ლაბორატორიების გაწყობილობის საგნები და მასალა.

12. საქართველოს სსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

---

4. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 7^1 და 7^2 მუხლების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თავდაცვისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ 1931 წლის ივნისის 12-ს მიღებული დადგენილების (ოქმი № 8, § 6) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ 1931 წლის სექტემბრის 17-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებას (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 215) დაემატოს 7^1 და 7^2 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„7^1. ამა დადგენილების მე-2 და მე-7 მუხლებში აღნიშნული წესის ნაცვლად, საკითხი შრომითი სარგებლობის მიწების შედგენილობიდან და აგრეთვე სარაიონო მნიშვნელობის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სარგებლობაში არსებული მიწების ფართობიდან თავდაცვისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის შესახებ გადაწყდება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ამა მუხლში აღნიშნული მიზნისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ წინასწარ გადაწყვეტილია ცენტრალური ორგანოების დადგენილებით მათ მიერ უწყებულ ტერიტორიაზე მშენებლობის საერთო გეგმის დამტკიცების დროს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე, კუთვნილებისამებრ, აღნიშნული დადგენილების გადასინჯვის შესახებ, უკეთუ გამოირკვა, რომ მიწის ჩამორთმევა მიზანშეუწონელია ან იგი მეტად დიდ ზიანს აყენებს გარსმცხოვრებ მოსახლეობას".

„7². შეუთანხმებლობას სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა გამგებლობაში ქონებული მიწის ჩამორთმევის დროს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებათა გამო აღძრულ საჩივრებს მე-7¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადასწყვეტენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ან ავტონომიური რესპუბლიკებისა თუ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, კუთვნილებისამებრ, სათანადო ცენტრალური საადგილმამულო ორგანოებისაგან დასკვნის მიღებისას".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვ. დრ. აღმს. **მ. ტორიშელიძე.**

1931 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი.

---

5. დადგენილება ს.კ.ს.

კოლექტიური მეურნეობისათვის წყალსამეურნეო სისტემების გადაცემის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კოლექტიური მეურნეობებისათვის წყალსამეურნეო სისტემების გადაცემის შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 18-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ 1931 წ. 21 № ი, მუხ. 216) მე-2 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. წყალსამეურნეო სისტემების კოლექტიური მეურნეობებისათვის და მათი სარაიონო კავშირებისათვის გადაცემის დროს ეს უკანასკნელნი იკისრებენ ამ სისტემების (მთლად ან სათანადო ნაწილის) ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს"....

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. ზომაია.**

1931 წ. დეკემბრის. 23.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კოლექტიურ მეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების შედეგების მასიური შემოწმების ჩატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების დროს მომხდარ დამახინჯებათა გამოსწორების მიზნით და ამ განაწილების დადგენილ ვადაზე დამთავრების უზრუნველსაყოფად 1932 წლის იანვრის 5-დან იანვრის 15-მდე მოეწყოს მოსავლისა და შემოსავლის განაწილების მასიური შემოწმება.

2. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შემოწმების ჩამტარებელი სარაიონო შტაბები, ხოლო სასოფლო საბჭოებთან—ბრიგადების სასოფლო საბჭოს აქტიური წევრებისა, პარტიული და კომკავშირის უჯრედების წარმომადგენლებისა და კოლმეურნეების აქტივის მონაწილეობით.

3. სასოფლო საბჭოს ფარგლებში შექმნილი ბრიგადების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნეს კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების მიმდინარეობისა და შედეგების გამორკვევა, ამ საქმეში მომხდარ დამახინჯებათა გამოსწორება და განაწილების დადგენილ ვადაზე დამთავრება იმ პრინციპზე, რომ „ვინც მეტს და უკეთ მუშაობს, ის მეტს მიიღებს, ვინც არ მუშაობს, ის არაფერს მიიღებს“.

4. სასოფლო საბჭოების სხდომებზე მოსმენილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობების მოხსენებანი და შემმოწმებელი ბრიგადების თანამოხსენებანი მოსავლისა და შემოსავლის განაწილების შედეგების შესახებ.

5. შემოწმების დამთავრების შემდეგ შეჯამებულ და განხილულ იქნეს შემოსავლის განაწილების შედეგები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების სხდომებზე მოხსენებების მოსმენით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვ. დრ. აღმსრ. მ. ტოროშელიძე.

1932 წ. იანვრის 3.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტი

7. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვისა და სანომრო ნიშნების გაცემის წესის შესახებ.

„ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 5-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 44 №-ი, მუხ. 300) და „ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილების განსავითარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვა და სანომრო ნიშნების გაცემა დაეკისროს:

ა) ქალ. ტფილისში—საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს;

ბ) ქალ. სოხუმსა, ბათომსა და სტალინირში (ცხინვალში)—აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის განყოფილებას;

გ) დანარჩენ ადგილებში—საგზაო სახაზო უბნების კონტორებს, ხოლო იქ, სადაც ასეთი კონტორები არ არსებობს,—საგზაო მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს (სარაიონო საგზაო ტეხნიკოსებს და სარაიონო საგზაო ინსპექტორებს).

„გ“ პუნქტში აღნიშნული ორგანოები ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის წესის მხრით ექვემდებარებიან საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დირექტივებსა და ხელმძღვანელობას, ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე—ამა დადგენილების „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანოებს.

აღნიშნულ ხელმძღვანელობას გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო ანხორციელებს მასთან განწესებული სარაიონთაშორისო ავტო-ინსპექტორების მეშვეობით.

2. ყველა ის დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და პირი, ვის გამგებლობაშიაც ავტო-მოტო-მანქანებია, მოვალეა წარუდგინოს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს აღნუსხვისათვის საჭირო ცნობები და აგრეთვე ცნობები ამ მანქანების ტეხნიკური მდგომარეობის შესახებ იმ წესებისა და ვადების შესაბამისად, რაც დადგენილ იქნება სრულიად საკავშირო გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართველოს ინსტრუქციებით და ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სავალდებულო დადგენილებებით.

ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის წესების დარღვევა გამოიწვევს სათანადო სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო წესით ან სისხლის სამართლის წესით—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103²ა მუხლის თანახმად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1931 წ. დეკემბრის 23.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-4 №-ში 1932 წ. იანვრის 4.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

8. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კერძო მფლობელობის სახლებისა და კერძო პირების მიერ იჯარით აღებული მუნიციპალზეიბული სახლების მიმართ 1932 წ. იანვრის 15-მდე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების მოქმედების განგრძობისათვის, რომელი დადგენილებაც ეხება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე „გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოქმედება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილებისა „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 235) განგრძობილ იქნეს—კერძო მფლობელობის სახლებისა და კერძო პირების მიერ იჯარით აღებული მუნიციპალიზებული სახლების მიმართ—1932 წ. იანვრის 15-დე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1932 წ. იანვრის 1.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-2 №-ში 1932 წ. იანვრის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ რ ო ბ ა

9. დადგენილება ს.კ.ს.

1932 წლისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუშა-ძალის საჭიროების გეგმისა და მუშა-ძალის ბალანსების შედგენის ვადების შეცვლის შესახებ.

„1932 წლისათვის ა/კსფსრ-ის სახალხო მეურნეობის შრომის ბალანსების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის დეკემბრის 25-ის დადგენილების შესაბამისად (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. დეკემბრის 29-ისა № 346) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1932 წლისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუშა-ძალის საჭიროების გეგმისა და მუშა-ძალის ბალანსების შედგენის წესის შესახებ“ 1931 წლის დეკემბრის 13-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად, წარუდგინონ არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 20-ისა საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად მუშა-ძალის 1932 წლის რესპუბლიკანური ჯუმლობითი ბალანსი რაიონობითი და დარგობითი ხაზით და, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, ეს ბალანსი წარუდგინონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, კუთვნილებისამებრ, არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 22-ისა.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შრომის სახალხო კომისარიატს, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად, დააწესონ საწარმოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, უწყებებისა და დაწესებულებებისათვის და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის 1932 წელს მუშა-ძალის ბალანსების შედგენისა და წარდგენის ვადები.

3. რადგანაც რაიონები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადოდ მომზადებული კადრებით მუშა-ძალის ბალანსების რაოდენობითი ხაზით გათვალისწინებულ ვადებზე შესადგენად, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რაიონობითი ხაზით მუშა-ძალის ბალანსების შესადგენად წარმოებული მუშაობის ადგილობრივ გადატანა და ამ მიზნით ყველა იმ მასალის გამოყენება, რაც სარაიონო ორგანოების განკარგულებაშია;

ბ) სარაიონო ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოსაჩენად მოეწყოს გასასვლელი საუწყებათაშორისო ბრიგადები, რომელთაც დაევალებათ ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ რაიონების ქვედა საფეხურის ორგანოებს და უშუალო მონაწილეობა მიიღონ მუშა-ძალის სარაიონო ბალანსების შემუშავებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ბრიგადების შედგენილობა და რიცხოვნობა ისეთი უნდა იყოს, რომ საკსებით უზრუნველყოფილ იქნეს ბალანსების შედგენა რაიონობითი ხაზით;

დ) გასასვლელი ბრიგადების მოწყობასთან დაკავშირებულ ხარჯში მონაწილეობის მიღება დაეკისროს ყველა რესპუბლიკანურ უწყებას და ორგანიზაციას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ბ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-4 №-ში 1932 წ. იანვრის 4.

---

10. დადგენილება ს.კ.ს.

1931-32 წლის ზამთრის გადაზიდვების პერიოდში რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს გაუწიონ დახმარება რკინის გზებს, უპირატესად სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან, მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის ძალის მოგროვების საქმეში რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან ბრძოლისათვის.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—ისეთ შემთხვევაში, როდესაც თოვლის ნამქერებთან ბრძოლის საკსებრივ უზრუნველყოფა მუშა-ხელისა და ჭაპანზიდვის მოგროვების წესით შეუძლებელია, გაიწვიონ, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექტორისა და საექსპლოატაციო რაიონების უფროსების მოთხოვნით, მოსახლეობა ჭაპანზიდვის შრომის ბეგარაზე მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა, საქალაქო საბჭოებსა და სასოფლო საბჭოებს—მიუჩინონ საცხოვრებელი სადგომები თოვლის ნამქერებთან ბრძოლისათვის გაწვეულ მუშა-ძალას და აგრეთვე შესაფერი ადგილები საზიდავთა და ცხოველთა დასაბინავებლად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ბ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1931 წ. დეკემბრის 23.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1932 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	7
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს.	4
5	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
7	სახალხო სასამართლოებს	1
8	საქართველოს სსრ პროკურატურას	8
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის პროკურატურებს	3
10	სარაიონო პროკურორებს	1
11	სახალხო გამოძიებლებს.	1

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

(პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი ს)

(გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე)

ხელის მოწერის ფასი 1932 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

8 მანეთი

მთავლიტი 97. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.200